ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N29

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქ.ქობულეთში, მეგობრობის ქ. N2-ის ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (შპს ,,რუბიკონის" კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.42.04.382) 0.38 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი



ENERGO-PRO

ელექტროენერგიის გადამცემი ქსელიდან ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის რეზერვიდან ობიექტის ნაგებ ელ. ენერგიისგამა ქსელის ამოქმედება

ხაზი		ელექტრული ნაწილი	
		0.4 კვ ქარის ბინის ტრანსის მიწვა	A(3) მ. 1:700

სტადია	ფურცლის	ფურცლების
მ.პ	1	1

ს.ს "ენერგო-პრო ...
ქ. ბათუმი, ბაბრიანოვის ... N 103
2017 წელი